

სოლომონ დოდაშვილის ანთროპოლოგიური-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია სოლომონ დოდაშვილს, ფილოსოფოსს, მწერალს, პედაგოგს, მრავალდარგოვან სწავლულს, რომელიც XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ევროპეიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება.

სოლომონ დოდაშვილის მრავალმხრივი ფილოსოფიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი ხანია, იქცა მეცნიერული შესწავლის ობიექტად. გამოქვეყნებულია არაერთი საყურადღებო გამოკვლევა ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის, მისი აზროვნების წყაროების, ლიტერატურული შეხედულებების შესახებ, თუმცა ცალკეული საკითხები კვლავ საჭიროებს თანამედროვე თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალთახედვით სიღრმისეულ გაშუქებას, რამდენადაც დოდაშვილის შემოქმედების ირგვლივ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა არაა თავისუფალი კონიუნქტურის ზეგავლენისაგან.

ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ ქართველი ფილოსოფოსის ესთეტიკურ შეხედულებებზე, რამდენადაც, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სწორედ სოლომონ დოდაშვილი დგას XIX საუკუნის ქართული ესთეტიკური და თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების სათავეებთან.

ცნობილია, რომ სოლომონ დოდაშვილს განზრახული ჰქონდა ფილოსოფიის სისტემური კურსის შექმნა, რომლის ერთ ნაწილადაც, ლოგიკის, მეტაფიზიკის, ეთიკისა და სამართლის ფილოსოფიის გვერდით, იგი მოიაზრებდა ესთეტიკასაც, როგორც მოძღვრებას შეგრძნებათა შესახებ. „ლოგიკის“ შესავალში ფილოსოფოსი აღნიშნავდა, რომ „ფილოსოფიამ უნდა წარმოგვიდგინოს:

1) კანონები ა) აზროვნებისა და ბ) კანონები სულიერი ძალებისა საერთოდ = ლოგიკა და ფსიქოლოგია.

2) კანონები შემეცნებისა და შეცნობადისა = მეტაფიზიკა ყველა მისი ნაწილებით.

3) კანონები გრძნობისა = ესთეტიკა (დოდაშვილი 2001: 45).

ს. დოდაშვილი პირდებოდა მკითხველს, რომ ეს ყველაფერი „დროთა განმავლობაში წარედგინებოდა ცოდნის მოყვარულთა მონყალე ყურადღებასა და განსჯას“, თუმცა ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის განხორციელება ფილოსოფოსს აღარ დასცალდა. სოლომონ დოდაშვილმა ვეღარ მოასწრო ესთეტიკის ზოგადი საკითხების დამუშავება, თუმცა ავტორის ჩვენამდე მოღწეული თხზულებებისა თუ პირადი წერილების საფუძველზე მაინც შესაძლებელია მისი ესთეტიკურ-ლიტერატურული თვალსაზრის გარკვეული რეკონსტრუქცია.

ჩვენს მეცნიერებაში ს. დოდაშვილის ნააზრევის უმნიშვნელოვანეს წყაროებად მიჩნეულია კანტისა და ფიხტეს ფილოსოფია (იხ. ნუცუბიძე 1958; კუკავა 1967; თევზაძე 2005; კაციტაძე 2014). კ. კაციტაძის მოსაზრებით, ქართველი მოაზროვნის

„იდეები ახლოს დგას რომანტიკული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლის შელინგის ნააზრევთან“ (კაციტაძე 2014: 36).

დღესდღეობით, სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ სოლომონ დოდაშვილი იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენელია და არა მატერიალისტური მოძღვრებისა, როგორც ამას თავგამოდებით ამტკიცებდა საბჭოთა მეცნიერება. საგანგებოადაა აღნიშნული აგრეთვე სოლომონ დოდაშვილის გარკვეული სიახლოვე რომანტიზმის ფილოსოფიასთან (ევგენიძე 2009; კაციტაძე 2014).

სოლომონ დოდაშვილის ნააზრევს რომანტიკულ მსოფლხედვასთან, უპირველეს ყოვლისა, აახლოებს განსაკუთრებული ინტერესი ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი. „ლოგიკის“ შესავალ ნაწილში ფილოსოფოსი წერს: „ფილოსოფია რომ ვისწავლოთ, საჭიროა ფილოსოფოსობა. ფილოსოფოსობა კი ნიშნავს, ყურადღება მივაპყროთ თავის თავს, ჩავწვდეთ თავის თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენივე თავი და ამ გზით დავადგინოთ სიმშვიდე ჩვენში და ჩვენდა. ყურადღება მივაპყროთ საკუთარ თავს, ნიშნავს განვაცნოთ იგი ყოველივე იმისგან, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის: ეს ხდება, როცა გონებით ვტოვებთ ყოველივე გარეგნულს და თვით ჩვენს თავს წარვმართავთ მარტოოდენ შინაგანისაკენ. ჩავწვდეთ თავის თავს, ნიშნავს, გულდასმით ვიფიქროთ შინაგან მოვლენებზე, რომლებიც ჩვენში ხდება, გავხადოთ ჩვენი თავი გამოკვლევის უშუალო საგანი“ (დოდაშვილი 2001: 44).

სოლომონ დოდაშვილი თავისებური ინტერპრეტაციით გადმოგვცემს უძველეს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ სამყაროს ფილოსოფიური შემეცნების საფუძველთა საფუძველია თვითშემეცნება. როგორც ცნობილია, ეს შეხედულება რომანტიზმმა თავის უმთავრეს პრინციპად გამოაცხადა. გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ნოვალისი წერდა: „ჩვენ ვოცნებობთ სამყაროში მოგზაურობაზე, მაგრამ განა სამყარო ჩვენშივე არ არის? ჩვენ ვერ შეგვიცვნიას სიღრმენი ჩვენი სულისა. სწორედ იქ მივყავართ საიდუმლო გზას... მხოლოდ ჩვენშია და სხვაგან არსად მარადისობა თავისი სამყაროებით, თავისი წარსულითა და მომავლით“ (Новалис 1990: 71).

სოლომონ დოდაშვილის ესთეტიკურ შეხედულებათა შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ტრაქტატი „რიტორიკა“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად მიიჩნეოდა. 1828 წელს ფილოსოფოსი თავის სულიერ მოძღვარს იონა ხელაშვილის ატყობინებდა, რომ დაასრულა მუშაობა რიტორიკის სახელმძღვანელოზე და ნაშრომის დეტალურ შინაარსსაც აცნობდა მას. 1955 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში ფილოსოფოსმა თამარ კუკავამ მიაკვლია „რიტორიკის“ ხელნაწერს. ნაშრომი სრული სახით არაა შემონახული, შენარჩუნებულია მხოლოდ შესავალი, პირველი ნაწილი და მეორე ნაწილის გეგმა. ხელნაწერს არ ერთვის ცნობა ავტორის ან გადამწერის შესახებ, თუმცა სოლომონ დოდაშვილის პირად წერილში მოყვანილ გეგმასთან „რიტორიკის“ ტექსტის შედარებამ უეჭველად ნათელყო, რომ ნაშრომი მას ეკუთვნის.

სამწუხაროდ, დღემდე მიუკვლეველია სოლომონ დოდაშვილის „პოეტიკა“, რომელიც უმნიშვნელოვანესი წყარო იქნებოდა ფილოსოფოსის ესთეტიკური და თეორიულ-ლიტერატურული შეხედულებების შესასწავლად. 1832 წლის შეთქმულების

მასალებიდან ნათელი ხდება, რომ დოდაშვილს პოეტიკის სახელმძღვანელოც ჰქონია შედგენილი.¹

სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა“ კონსპექტური ხასიათის ნაშრომია, რომელშიც მჭევრმეტყველების ხელოვნების ზოგადი საკითხებია გადმოცემული. ავტორი ლაკონურად მსჯელობს ისეთი თემების ირგვლივ, როგორებიცაა: ორატორული თემის შერჩევა, სათქმელის ორგანიზება, დასაბუთების ხერხები და სხვ. ამ საკითხთა გვერდით „რიტორიკაში“ ავტორის ცალკეულ თეორიულ-ლიტერატურულ განაზრებებსაც ვხვდებით.

სოლომონ დოდაშვილის განსაზღვრებით, რიტორიკა არის მეცნიერება, ზოგადად, მჭევრმეტყველური ხელოვნებისა, და, კერძოდ, პროზის კანონთა შესახებ. ფილოსოფოსი იმთავითვე განასხვავებს ერთმანეთისაგან ორ ცნებას – რიტორსა და ორატორს. დოდაშვილის თქმით, რიტორად იგი იწოდება, ვისაც ძალუძს მჭევრმეტყველების კანონთა შესახებ მსჯელობა, აღჭურვილია თეორიული ცოდნით, ხოლო ორატორი ისაა, ვისაც ამ კანონთა პრაქტიკული გამოყენებაც ხელეწიფება. ფილოსოფოსის აზრით, კარგ ორატორს დიდი თეორიული მომზადება ესაჭიროება. იგი საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს ზნეობრივ ფილოსოფიაში, მათემატიკაში, პოლიტიკურ მეცნიერებაში. თუმცა მხოლოდ განსწავლულობა არ კმარა ორატორული წარმატების მისაღწევად. სოლომონ დოდაშვილი ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ არსებით ფაქტორზე – ბუნებით ნიჭზე, რომლის გარეშეც რთულია სრულყოფილ ორატორად ჩამოყალიბება.

რიტორიკის განვითარების ისტორიაში სოლომონ დოდაშვილი ორ პერიოდს გამოყოფს. თავდაპირველად, მისი თქმით, რიტორიკა იყო მეცნიერება პოლიტიკური მჭევრმეტყველების შესახებ, ხოლო შემდეგ მისი საზღვრები გაფართოვდა და რიტორიკა იქცა ზოგადად პროზის თეორიად: „საგანი მისი არს განვითარება პროზაიკებისა მწერლისა“ (დოდაშვილი 2001: 183).

დოდაშვილის თქმით, რიტორიკა იყოფა თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიული რიტორიკის მიზანია პროზაული მეტყველების ზოგადი კანონების დადგენა, ხოლო პრაქტიკულისა – კონკრეტული ტექსტების მეცნიერული განხილვა-დახასიათება.

სოლომონ დოდაშვილი ერთმანეთისაგან მიჯნავს რიტორიკისა და პოეტიკის საზღვრებს. მისი თქმით, „რიტორიკა არს ჰსწავლა პროზისა, ხოლო პიიტიკა ჰსწავლა სტიხთქმისა“. ფილოსოფოსის განსაზღვრებით, რიტორიკა და პოეტიკა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შესასწავლი ობიექტის მიხედვით. რიტორიკა შეისწავლის პროზაულ ტექსტებს, ხოლო პოეტიკა – პოეტურ თხზულებებს. ძალზე საინტერესოა ფილოსოფოსის მსჯელობა პოეზიისა და პროზის სპეციფიკის თაობაზე. დოდაშვილის დახასიათებით, „ორატორსა ჰსურს ჰსწავლებად, ხოლო სტიხმოქმედსა – ამოვნებად. ჭეშმარიტება შეადრგენს თვისებასა პროზისასა, თვინიერ

¹ ერთ-ერთ ჩვენებაში ს. დოდაშვილი მიუთითებდა: „ნოემბრის დამდეგს მღვდელი ეფრემ ალექსეევი ჩვეულებრივ მოვიდა ჩემთან საღამოს ჟამზე. მე მას წავუკითხე ჩემი შეთხზული წესები პიიტიკისა (Правила Пиитики, мною сочиненныя) და ვარჩევდით (ე.წ. პოემის „ქილილა და დამანა“) სხვადასხვა ლექსთა წყობას“ (დოდაშვილი 2001: 377).

რომლისაცა მას არა ექმნების ფასი; შვენიერი იქმნების მას შინა მხოლოდ საშუალობა მიმთხვევისათვის ორატორებისა საგნისა. სტიხმთქმელი წინააღმდეგომ მისსა გამოუხრობელად წარმოადგენს შვენიერსა... სტიხთ ქმნა შეიცავს თვის შორის შვენიერსა თავით თვისით არა სასარგებლოსა, არამედ მხოლოდ კმაყოფილებისათვის“ (დოდაშვილი 2001: 182).

ციტირებული მონაკვეთის მიხედვით, ს. დოდაშვილი მიიჩნევს, რომ პოეზიასა და პროზას გარკვეულწილად განსხვავებული მიზნები აქვთ. პროზაიკოსის ამოცანაა, მკითხველი მიაახლოს ჭეშმარიტებასთან, გააფართოვოს მისი შემეცნების საზღვრები, განსწავლოს და ზნეობრივად აამაღლოს იგი. პროზაში ესთეტიკური ეთიკურს ექვემდებარება, მშვენიერი ჭეშმარიტისა და ზნეობრივის სამსახურში დგება. რაც შეეხება პოეზიას, მისი უმთავრესი მიზანი მკითხველისათვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებაა. პოეზიაში მშვენიერს არა დაქვემდებარებული, არამედ თავისთავადი ღირებულება აქვს. ე. ი. პროზაში, ფილოსოფოსის აზრით, განსჯითი ასპექტია წარმმართველი, ხოლო პოეზიაში კი – გრძნობადი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სოლომონ დოდაშვილს, როცა იგი მსჯელობს პოეზიისა და პროზის განსხვავებაზე, მხედველობაში აქვს არა საზოგადოდ პროზაული გვარი, არამედ მხოლოდ ერთი ჟანრი – მჭევრმეტყველური, „აღმკობილი“ პროზა (ჭელიძე 1966). ეს მოსაზრება, მართლაც ანგარიშგასანევია. მით უმეტეს, რომ რიტორიკაში დოდაშვილი არაფერს ამბობს მხატვრული პროზის კანონთა შესახებ, ხოლო როცა სახელოვან რიტორებსა და ორატორებს ჩამოთვლის, იქ პროზაიკოსებს არ ასახელებს. ბუნებრივად დგება კითხვა: მაშინ რომელ მეცნიერებას უნდა აკუთვნებდეს ფილოსოფოსი მხატვრული პროზის შემსწავლელ ფუნქციას? იქნებ, პოეტიკას? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. აშკარაა, რომ პოეტიკის შესწავლის ობიექტად დოდაშვილი მხოლოდ ლექსითი ფორმით დანერგულ თხზულებებს მოიაზრებს. იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ „პოეტიკა არს ჰსწავლა სტიხთქმისა“. აქედან გამომდინარე, პროზის შემსწავლელ მეცნიერებად ისევ რიტორიკა უნდა ვივარაუდოთ. მით უმეტეს, რომ ერთგან ავტორი მიუთითებს: რიტორიკაში „გადმოიცემიან კანონნი, რომელნიც განეფინებიან ყოველთა გვართა ზედა პროზაიკებრთა თხზულებათასა გამოურიცხველად“ (დოდაშვილი 2001: 183).

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში აღნიშნულია კანტის ესთეტიკური შეხედულებების გარკვეული ზეგავლენის ფაქტი დოდაშვილის „რიტორიკაზე“ (ნადირაძე 1955). კანტის მიხედვით, მშვენიერება მოგვწონს ყოველგვარი ინტერესის გარეშე, ხელოვნება კი თავისი არსით უახლოვდება თამაშს, რომელიც თავისთავადაა სასიამოვნო. დაახლოებით ასეთ თვალსაზრისს გვთავაზობს დოდაშვილიც პოეზიის შესახებ, როცა აღნიშნავს, რომ პოეზიას მიზნად აქვს არა სარგებლობის მოტანა, არამედ ადამიანისათვის კმაყოფილების, სიამოვნების მინიჭება.

სოლომონ დოდაშვილის თვალსაზრისი პოეზიის არსისა და დანიშნულების შესახებ, ვფიქრობთ, უფრო მეტ მსგავსებას ავლენს ჰეგელის შეხედულებასთან, რომლის მიხედვითაც, „თავისი საბოლოო მიზანი ხელოვნებას თავის თავში აქვს. რადგან სხვა მიზნებს, ჭკუის სწავლებას, განწმენდას, გაუმჯობესებას, ფულის შექმნას, დიდებისა და პატივისაღმი სწრაფვას, არავითარი კავშირი არა აქვთ ხე-

ლოვნების ნაწარმოებთან, როგორც ასეთთან და მის ცნებას არ განსაზღვრავენ“ (ჰეგელი 1973: 70).

არ უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც სოლომონ დოდაშვილი პოეზიის უმთავრეს მიზნად ესთეტიკურ სიამოვნებას აცხადებდა, ამით უარყოფდა პოეზიის შემეცნებით და აღმზრდელით ღირებულებას. ცხადია, ამით ფილოსოფოსი, უბრალოდ, პოეზიის თავისთავად ღირებულებას გახაზავდა. წერილში „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“, „თამარიანის“ შესახებ მსჯელობისას ს. დოდაშვილი ჩახრუხადის ნაწარმოების ერთ-ერთ ღირსებად მიიჩნევს „მახვილგონიერებასა აზრთასა“, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ფილოსოფოსის აზრით, ღრმააზროვნებას პოეზიაშიც დიდი გასაქანი აქვს.

„რიტორიკაში“ სოლომონ დოდაშვილი ეხება ლიტერატურული სტილის საკითხებსაც. ნაშრომის პარაგრაფში „გამოღებისათვის ფრაზისა“, ფილოსოფოსი ჩამოთვლის გამართული ფრაზის დამახასიათებელ ნიშნებს: „1. კანონიერება (ლტოლვა, ანუ განშორება ბარბარიზმთა). 2. სინმინდე (განშორება ლექსთა უხმოთა და უცხოთ ქუეყანისათა). 3. სიცხადე და განსაზღვრებულება. 4. წერა ჰაზრისა. 5. სიმხოლოე“ (დოდაშვილი 2001: 187)

როგორც ვხედავთ, დოდაშვილის მიხედვით, ლიტერატურული ფრაზის უპირველესი ღირსებაა „კანონიერება და სინმინდე“, განშორება ბარბარიზმებისა და ენისათვის შეუსაბამო კონსტრუქციებისაგან, აგრეთვე – სიცხადე, სისადავე და კონკრეტულობა.

ფილოსოფოსის მოსაზრებით, ლაკონიურობა არის გამართული სტილის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი. წერითი თუ ზეპირი მეტყველების დროს ორატორმა იმდენი სიტყვა უნდა დახარჯოს, რამდენიც საკმარისია აზრის ადეკვატურად გადმოსაცემად. ს. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ, ლოგიკური და გრამატიკული გამართულობის გარდა, ფრაზის „სიცხოველის“ მიღწევა სხვა საშუალებებითაცაა შესაძლებელი.

ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად ფილოსოფოსი ასახელებს ევფონიას, რომელსაც პროზაში, საერთოდ, ნაკლებ დატვირთვას ანიჭებენ ხოლმე. დოდაშვილის თქმით, ფრაზას მშვენიერებას ჰმატებს „კეთილხმოვანება, რომელიცა ჰყოფს სიტყვასა ცხადად და გაუჭირებლად დროსა კითხვისასა“ (დოდაშვილი 2001: 188).

სტილის ელვარება მიიღწევა აგრეთვე ხატოვანებით, ფიგურალურ გამოთქმათა მომარჯვებით. ფილოსოფოსი საგანგებოდ ჩამოთვლის და განმარტავს იმ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს (ტროპებს), რომელთა გამოყენებითაც პროზაიკოსს ძალუძს ფრაზისათვის უფრო მეტი სიცხოველის მინიჭება.

„რიტორიკაში“ არაერთ სხვა საყურადღებო მოსაზრებას ვხვდებით მჭევრმეტყველური ხელოვნების თავისებურებათა შესახებ. მთლიანობაში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „ს. დოდაშვილის „რიტორიკის“ ღირებულება ქართული ლიტერატურული აზრის განვითარებაში მაინცდამაინც ის კი არაა, რომ მისი ავტორი თეორიის თვალსაზრისით ახალ საფეხურს ქმნიდეს ორატორული ხელოვნების თეორიაში საერთოდ, არამედ ის, რომ ს. დოდაშვილმა ჩვენში შექმნა ტრადიცია ლიტერატურისა და ხელოვნების უზოგადეს საკითხებზე მსჯელობისათვის (ევგენიძე 2009: 88).

სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურული შეხედულებების გასათვალისწინებლად აგრეთვე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს წერილი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც ფილოსოფოსმა თავისსავე ჟურნალში – „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ (1832, 1-2) გამოაქვეყნა. ნაშრომს დიდი რეზონანსი ჰქონდა იმ დროის ლიტერატურულ წრეებში. წერილის რუსული თარგმანი გამოქვეყნდა ჯერ გაზეთში „Тифлисские Ведомости“ (სათაურით „Краткий взгляд на грузинскую литературу“), შემდეგ კი – მოსკოვურ გამოცემაში „Московские ведомости“ (1832, № 10). ეს წერილი შესულია ა. ჟარი დე მანსის „ძველი და ახალი ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების“ რუსულ თარგმანში¹.

სოლომონ დოდაშვილის წერილის მიზანია, წარმოაჩინოს ქართული მწერლობის ისტორიული მნიშვნელობა, მხატვრული ღირებულება და მოკლედ დაახასიათოს მისი განვითარების ძირითადი ეტაპები.

ფილოსოფოსი მსჯელობას იმ მოარული აზრის განხილვით იწყებს, რომლის თანახმადაც, ქართველებს არ გვაქვს მდიდარი ლიტერატურა, ქართული ენა კი თავისი ბუნებით მაინცდამაინც არაა მიდრეკილი ჰარმონიულობისაკენ. ს. დოდაშვილი ამ შეხედულებას მცდარად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ სინამდვილეში „ქართულსა ენასა ზედა არიან მრავალნი შვენიერნი თხზულებანი და თარგმნილნიცა წიგნნი სხვა და სხვა ძველთა და უახლესთა ენათაგან“ (დოდაშვილი 2001: 214). კრიტიკოსი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართული და, ზოგადად, კავკასიური კულტურა არაა სათანადოდ ცნობილი და დაფასებული ევროპაში, რომ იგი „აქამომდე წყვიდადსა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის ევროპისათა“ (დოდაშვილი 2001: 214).

დოდაშვილის თქმით, ქართული ენა ერთი უძველეს ენათაგანია, ქართული დამწერლობა კი შეიქმნა ქრისტეს შობამდე, მეფე ფარნავაზის ეპოქაში. ქართული ანბანი სხვა დამწერლობათაგან არსებითად განსხვავებული და ორიგინალური იყო.

დოდაშვილი უპირისპირდება სომეხ სწავლულთა მიერ გავრცელებულ შეხედულებას, რომ ქართველები თავდაპირველად სომხურ ენაზე საუბრობდნენ. კრიტიკოსის თქმით, ეს მოარული აზრი იმ უბრალო ფაქტს ეფუძნება, რომ ქართულსა და სომხურში გვაქვს მსგავსი სიტყვები. აღნიშნული გარემოება, დოდაშვილის თქმით, ქართული ენის სომხურიდან წარმომავლობის საბუთად ვერ გამოდგება, რამდენადაც თითქმის შეუძლებელია იმის დადგენა, საერთო ლექსიკური მასალა სომხურიდან დამკვიდრდა ქართულში, თუ – პირიქით. ფილოსოფოსის მოსაზრებით, ქართული ღრმად თვითმყოფადი ენაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თავისი შინაგანი ბუნებით განსხვავდება სომხური ენისაგან.

აქვე კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ არ აპირებს სომეხ სწავლულებთან კამათს, რადგანაც დარწმუნებულია მის უშედეგობაში. სქოლიოში კი დოდაშვილი ასეთ ირონიულ კომენტარს აკეთებს: „ჩვენ არა ძალგვიძს ბაასი სომეხთა თანა, ვინაითგან იგინი უბნობენ, რომელ თვით ადამ ლაპარაკობდა სომხურსა და სომხურის

¹ А. Жарри де Манси, История древних литератур, наук и изяшных искусств, М., 1836, II, гл. 38-48.

ენიდან ინარმოა ყოველი ენა, ესე იგი ფრანციული, ნემეცური, რუსული და სხვანი“ (დოდაშვილი 2001: 215).

სოლომონ დოდაშვილი დიდი გულისტკივილით საუბრობს ქართული სალიტერატურო ენის დაბინძურების შესახებ. იგი გაუმართლებლად მიიჩნევს ზოგიერთი მწერლის მხრიდან ქართულში უცხო სიტყვების შემოტანას, რადგან მისი აზრით, ქართულ ენას აქვს სრული შესაძლებლობები იმისა, რომ მისი ლექსიკური მასალით აზრი სრულყოფილად იქნას გადმოცემული: „ანინდელთა მწერალთა და უცოდი-ნართა ქართულისა ენისათა შემოიღეს ხმარება ლექსთა სპარსულთა, სომხურთა და რუსულთა, გარნა ამით არავის ძალუძს დამტკიცება, რომელ არ იყოს ქართულსა ენასა ზედა თანასწორ მნიშვნელნი ლექსნი“ (დოდაშვილი 2001: 215). კრიტიკოსის აზრით, მწერალმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოს უცხო სიტყვა, თუ იგი საერთაშორისო ტერმინადაა ქცეული. სხვა დროს კი ნამდვილმა შემოქმედმა მშობლიური ენის გამომსახველობითი საშუალებებით უნდა გადაჭრას მის წინაშე მდგარი მხატვრული ამოცანა: „კარგმან მწერალმან რომლისა საგნისა აღწერაც უნდა მოინდომოს... მას ძალუძს ბუნებითა ენასა ზედა გამოღება და წარმოდგენა თვით უმცირესისა აზრისა და გრძნობისა“ (დოდაშვილი 2001: 215).

დოდაშვილის თქმით, ისტორიულად ქართველებს იმთავითვე ჰქონდათ მიდრეკილება განათლებისადმი, რისი დასტურიცაა თვალსაჩინო ქართველ მწერალთა და მთარგმნელთა ლიტერატურული მემკვიდრეობა. იგი ჩამოთვლის შუა საუკუნეების ცნობილ სასულიერო მწერლებსა და მთარგმნელებს, რომელთა არსებობითაც იამაყებდა ნებისმიერი კულტურული ერი: ილარიონ ქართველი, იოანე და ექვთიმე ათონელები, იოანე პეტრინი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და სხვ.

საგანგებოდ გამოყოფს ს. დოდაშვილი იოანე პეტრინის ღვაწლს, რომელმაც „ეპოხა მჭევრმეთქვეობისა ჩვენისა იწყო“. კრიტიკოსის თქმით, თავისი მრავალდარგოვანი მოღვაწეობით ამ „ჭემმარიტმა ფილოსოფოსმა“ დაიმსახურა არა მხოლოდ თანამედროვეთა აღიარება, არამედ შთამომავლობის დიდი პატივისცემა და სიყვარული.

სოლომონ დოდაშვილი შედარებით ვრცლად ახასიათებს თამარის ეპოქას, რომელიც, მისი თქმით, იყო „ოქროვანი საუკუნე“, როდესაც საქართველოში არსებობდა მრავალი საგანმანათლებლო და კულტურული კერა. თამარის დროის ლიტერატურულ ავტორიტეტთან დოდაშვილი ასახელებს რუსთველს, ჩახრუხაძეს, მოსე ხონელსა და სარგის თმოგველს, რომელთა თხზულებანი „დაფასებულ არიან ფრიად მაღლად და დაიდებიან რიცხვსა შორის პირველთა ქმნილებათასა“ (დოდაშვილი 2001: 219).

სოლომონ დოდაშვილის თქმით, შუა საუკუნეებში ქართული ლიტერატურის განვითარების უმაღლესი დონის დასტურია „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“. ფილოსოფოსს განსაკუთრებით ხიბლავს ჩახრუხაძის ოდა თავისი კეთილხმოვანებით, რთული სალექსო სტრუქტურითა და ღრმააზროვნებით.

თამარის ეპოქის შემდეგ იწყება ქართული კულტურის დეკადანსის ხანა, რაც გამოიწვია „ბარბაროსთა“ მრავალრიცხოვანმა შემოსევებმა. შემდეგი დროის მწერალთაგან დოდაშვილი გამოარჩევს მეფე-პოეტ თეიმურაზს, რომელიც „ღირს არს უუდიდესისა მაღლობისა მრავალთა აღმატებულთა ლექსთათვის“. აქვე კრიტიკოსი

აღნიშნავს ვახტანგ მეექვსის, როგორც სტამბის დამაარსებლის, განმანათლებლისა და პოეტის ღვანლსაც.

ქართული კულტურის „აღდგინების“ დასაწყისად დოდაშვილს მიაჩნია ერეკლე მეორის ეპოქა. ამ პერიოდში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდის დოდაშვილისათვის უდიდესი ავტორიტეტის მქონე სწავლული – ანტონ I კათალიკოსი, მრავალმხრივი მოღვაწე, თეოლოგი, ფილოსოფოსი, ფილოლოგი და მთარგმნელი. კრიტიკოსი დაწვრილებით ჩამოთვლის ანტონ I-ის თარგმნილ და ორიგინალურ შრომებს. აქვე დოდაშვილი ასახელებს XVII-XVIII სს. სხვა მწერლებსაც (ვახუშტი ბაგრატიონი, სულხან, ვახტანგ, დიმიტრი ორბელიანები, იასე ერისთავი, დიმიტრი ციციშვილი), რომელთა „თხზულებანი სტიხად და პროზად ღირს არიან გონებაგანმხილველისა ყურადღებისანი“ (დოდაშვილი 2001: 221).

სოლომონ დოდაშვილის ეს სტატია, მართალია, ერთგვარად კონსპექტური ხასიათისაა, თუმცა მასში ნათლად ვლინდება მკვლევრის დიდი ერუდიცია. ნაშრომის შექმნისას სოლომონ დოდაშვილი საფუძვლიანად მომზადებულა. მას შეძლებისდაგვარად გაუთვალისწინებია ძველი ქართული მწერლობის შესახებ არსებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. დღესდღეობით გამორკვეულია, რომ „თამარიანის“ შეფასებისას კრიტიკოსი ეყრდნობა ევგენი ბოლხოვიტონოვის ცნობილ ნაშრომს „საქართველოს ისტორიული სურათი პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის თვალსაზრისით“ (პეტერბურგი, 1802) (განერელია 1981: 58), ხოლო შუა საუკუნეების ქართველ მწერალთა და მთარგმნელთა შესახებ მსჯელობისას – დავით რექტორის ხელნაწერს „ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის, წმიდათა მამათა და მეცნიერთათვის“... (მენაბდე 1973: 44).

მეცნიერთა ნაწილს სოლომონ დოდაშვილის განხილული წერილი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველ მცდელობად მიაჩნია. კ. კეკელიძის შეხედულებით, „ს. დოდაშვილის ამ შრომაში საყურადღებოა ცდა ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისა“ (კეკელიძე 1980: 19). ლ. მენაბდის აზრითაც, „ს. დოდაშვილს უცილობლად ეკუთვნის პატივი ძველი ქართული პერიოდიზაციის პირველი ცდის მოცემისა“ (მენაბდე 1973: 43).

უფრო მართებულად გვეჩვენება ჯუმბერ ჭუმბურიძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „ლიტერატურის პერიოდაზაცია გულისხმობს გარკვეული თვალსაზრისის მიხედვით... ლიტერატურის ისტორიის ცალკეული მონაკვეთების გამოყოფას ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესში, ამ მონაკვეთების დახასიათებას მათ შორის არსებული განსხვავებულისა და საერთოს მიხედვით. არავითარი ამის მსგავსი ს. დოდაშვილს განხილულ სტატიაში არ მოუცია. რა თქმა უნდა, ქრონოლოგიური სურათის აღდგენა, რომ მე-11-12 საუკუნეების ქართული კულტურის აღმავლობას მოჰყვა დაცემის პერიოდი, ხოლო შემდეგ აღორძინება... პერიოდიზაციის ნიმუშად ვერ მიიჩნევა. და, საერთოდაც, თავისი დროისათვის ამ მეტად საყურადღებო, მაგრამ კონსპექტურ მიმომხილვაში ს. დოდაშვილს მაშინ არც შეეძლო მოეცა ჩვენი მწერლობის პერიოდიზაციის თუნდაც მკრთალი სურათი“ (ჭუმბურიძე 1974: 89).

„მოკლე განხილვა“ დაწერილია ეროვნული ღირსების გამძაფრებული შეგრძნებით. ამ წერილით სოლომონ დოდაშვილი ცდილობს, დაძლიოს ქართულ საზოგა-

დოებაში თავჩენილი ნიჰილიზმის ნიშნები და განუმტკიცოს ქართველებს ეროვნული სრულფასოვნების განცდა, უცხოელ მკითხველს კი დაანახოს ქართული კულტურის ღირებულება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სოლომონ დოდაშვილი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში: „არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამული-სა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა“ (დოდაშვილი 2001: 259).

სოლომონ დოდაშვილის ნააზრევის განხილვა გვარწმუნებს, რომ საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, „დოდაშვილის ესთეტიკური შეხედულებები რეალისტურია“ (კუკავა 1986: 63) და ისინი „პროგრესულ-მატერიალისტური ტენდენციებით ხასიათდება“ (მიქაშავიძე 1963: 177), არ შეეფერება სინამდვილეს. სოლომონ დოდაშვილი გერმანული კლასიკური იდეალისტური ესთეტიკის იმ უზოგადეს დებულებას იზიარებს, რომ ხელოვნებას (კერძოდ, პოეზიას) თავისთავადი ღირებულება აქვს, მისი საგანიცა და დანიშნულებაც თვით მასშივეა. ეს თვალსაზრისი კი არსებითად შეუთავსებელია რეალისტურ-მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებთან.

სწორად არ მიგვაჩნია აგრეთვე კატეგორიული მტკიცება, რომ სოლომონ დოდაშვილი მსოფლმხედველობრივად რომანტიზმის პოზიციებზე დგას. კ. კაციტაძის მოსაზრებით, „ს. დოდაშვილის ნააზრევი ძირითადად რომანტიკული მსოფლმხედველობის ფარგლებში თავსდება. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, რაიმე არსებითი საუბარი ქართველ რომანტიკოსთა მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხის შესახებ ს. დოდაშვილის შეხედულებათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია“ (კაციტაძე 2014: 79). აქვე მკვლევარი აყენებს იმ შეხედულების კრიტიკული გადასინჯვის აუცილებლობას, „რომლის თანახმად, ქართული რომანტიზმი ყოველგვარ ფილოსოფიურ დაფუძნებას მოკლებული იყო“.

ვფიქრობთ, უთუოდ გადაჭარბებული იქნება, სოლომონ დოდაშვილი დავსახოთ ქართული რომანტიზმის თეორეტიკოსად. ჩვენს ხელთ არსებული წყაროები ასეთი კატეგორიული განცხადების საფუძველს ნამდვილად არ იძლევა. სოლომონ დოდაშვილის თეორიულ ნააზრევში ვხვდებით კლასიციზტური ესთეტიკის ზეგავლენასაც, ხოლო მის მიერ გადმოკეთებული მოთხრობები აშკარა სენტიმენტალისტური განწყობილებებითაა აღბეჭდილი. ცხადია, მთლიანობაში, დოდაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა უფრო მეტ სიახლოვეს რომანტიზმის ფილოსოფიასთან ამჟღავნებს, თუმცა მისი დასახვა ქართული რომანტიზმის თეორეტიკოსად ფაქტის გაზვიადება იქნება.

სხვა მრავალ დამსახურებათა შორის სოლომონ დოდაშვილის ქართველი ერის წინაშე ის წვლილიც მიუძღვის, რომ მან თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით შეამზადა საფუძვლები XIX საუკუნის ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების განვითარებისათვის.

XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსულ სინამდვილეში ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ განშტოებად ჩამოყალიბდა ე. წ. „ფილოსოფიური კრიტიკა“ (ვ. ოდოევსკი, დ. ვენევიტოვი, ი. კირეევსკი და სხვ.). ვინ იცის, ქართველ სწავლულსაც რომ დასცლოდა, იქნებ, მისი სახით ჩვენც გვყოლოდა ფილოსოფიური კრიტიკის ფუძემდებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განერელია ა., რჩეული ნაწერები, III (1). თბ., გამომც. „მერანი“, 1981.
2. დოდაშვილი ს., თხზულებანი, თბ., თსუ გამომცემლობა, 2001.
3. ევგენიძე ი., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III. თბ., 2009.
4. თევზაძე გ., სოლომონ დოდაშვილი, თბ., გამომც. „დიოგენე“, 2005.
5. კაციტაძე კ., სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობის საკითხისათვის, თბ., Carpe Diem, 2014.
6. კუკავა თ., ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან (XVII-XIX ს. პირველი ნახევარი), თბ., გამომც. „განათლება“, 1967.
7. მენაბდე ლ., XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., „განათლება“, 1973.
8. მიქაშავიძე შ., ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი ს. დოდაშვილის „რიტორიკაში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, 5;
9. ნადირაძე გ., სოლომონ დოდაშვილის ესთეტიკურ შეხედულებათა საკითხისათვის, ჟ. „მნათობი“, 1955, 5.
10. ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, 1958.
11. ჭელიძე ვ., ესთეტიკის საკითხები სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკაში“, ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, III. 1966.
12. ჰეგელი გ. ვ. ფ. ესთეტიკა, ტ. I, თბ., „ხელოვნება“, 1973.
13. Новалис 1990: Новалис, Фрагменты, Зарубежная литература XIX века, Романтизм. Москва, 1990.

Levan Beburishvili

AESTHETIC AND LITERARY VIEWS OF SOLOMON DODASHVILI

Summary

Solomon Dodashvili, a philosopher, writer, teacher, multidisciplinary scholar, who is one of the founders of Europeanism in the Georgian public thought of the XIX century, occupies a special place in the history of Georgian philosophy.

Solomon Dodashvili's multifaceted philosophical and literary heritage has long been the object of scientific study. Were published numerous important studies about Dodashvili's worldview, sources of his thought, literary views, however, some issues still need to be understood from a modern theoretical-methodological point of view, as the scientific literature created around Dodashvili's work in the Soviet era is not free from the influence of conjuncture.

In the article we discuss the aesthetic views of the Georgian philosopher. It can be said without exaggeration that Solomon Dodashvili stands at the origins of the Georgian aesthetic and theoretical-literary thought of the XIX century.

It is known that Solomon Dodashvili intended to create a systematic course of philosophy, one part of which, in addition to the logic, metaphysics and ethics, he also considered aesthetics. The